ხახლის ეკლის ვირგი.

ქიშმა მოლევილი ლანკო. (სლავურიდან ნათარგმნი და
ავტორის მიერ შესწორებული).

25-494
~~99~~
8 ფ.
1334/18-ე

25494
99
1334/18-ლ

მოლდაველი

თავი პირველი

რთველიდან ხშირად მოლდაველთა სიმღერებს ისმენ,
(ბესარაბელი ამ დროებას ნატვრით მოელის)
დღით დედამიწა აქ უმზეოდ როგორ მოითმენს,
ღამით კი მთვარე შუქს ჰფენს არეს ვერცხლის
მთოველი.

დაღამებისას, როს ზღვის მკერდი მოოქრულია,
როს ბანაობის შემდეგ მნათობს ჩაეძინება,
აქ მოლდაველი მაშინაც კი მხიარულია:
ცეკვა, სიმღერა და ზღაპრები ბევრი ითქმება.
აი ზღაპარი, (გორკის ზღაპრად ყველა რომ იცნობს)
მოლდაველ ქალის ნაამბობი და მომხიბლავი.
ამ ზღაპრის გმირი ტანჯულთა გულს დღესაც დაიპყრობს,
წინ რომ უძღოდა ბედშავ ხალხს და შესწირა თავი.
„აჰა, ისმინე, გეტყვი ზღაპარს ძველი დროიდან,
რომ შენს სულს ცეცხლი მოეკიდოს, — გულმა იხაროს!“
მოხუცი ქალი ოფლის წმენდით მომიახლოვდა
და კაკლის ჩრდილში, ვით შვილს დედა, მომიჯდა
ახლოს:

„უხსოვარ დროში — ძველად, სადღაც ხალხი ცხოვ-
რობდა,
ხალხი ჩვენ გვგავდა, მოლდაველებს ყოფა-ცხოვრებით;
ხალხი ძლიერი, მხიარული, მზით რომ ხარობდა,
ხალხი შრომაში ბედს რომ ჭედდა თავდავიწყებით,
და იმ ქვეყანას, სად ის ხალხი ფლობდა მიწა-წყალს,
სამივე მხრიდან შემორტყმოდა ტყე გაუვალი,
მხოლოდ ერთი მხრით გასავალი, გავდა ღია კარს,
საით მოსჩანდენ მთა-მინდვრები უწვდენი თვალით...
და იმ ქვეყანას გაშლილ მხრიდან მოადგა მტერი,
მტერი ძლიერი, სისხლმწყურვალე, ურიცხვი ჯარით.
ცეცხლში შთაინთქა ნაოფლარი და ყველაფერი,
და შეიღება მიწა სისხლის ტბორით და ღვ რით...
ლტოლვილნი ტყეებს აფარებდნენ თავს ბედის წყევით.
და გააწითლა არე-მარე დაღვრილმა სისხლმა.
უგზოდ და უკვლოდ მიდიოდნენ გამწარებულნი
და გულს იმედი ჩაიმარხეს, — უარყვეს წინსვლა...
როცა შუადღით მზე აყრიდა ტყეს უხვად სხივებს
და აყროლებულ ტბორს და ჭაობს შუქს დააცრიდა,
ისეთი შმორი დადგებოდა, რომ დატანჯული
უმწეო ხალხი კვნესა-ოხვრით ცხარე ცრემლს ღვრიდა...
ამ დროს გაისმა ხმა ძლიერი ჭექა-ქუხილით:
— ისმინეთ, ძმებო! ამ ჩვენს ტანჯვას ბოლო მოეღოს;
გვეყოს, რაც დღემდის დაგვიღვრია ცრემლი წუხილით,
ახალ ცხოვრების, დროა ძმებო, კარი გაგვეღოს!..
ჩვენ გვაქვს ორი გზა: ერთი — ბრძოლის, გამარჯვებისა—
ეს გზა წინ გვიდევს და მიგვიყვანს აღთქმულ ქვეყანას.
ამ გზით ჩვენ უნდა თან ვატაროთ გული რწმენისა,
ამავე გზითვე ჩვენ გამოვჭედთ ბედნიერ ხანას.—

მეორე გზაც გვაქვს, გზა ამ ტყეში ძრწოლის და ტანჯვის,
საცა სიცოცხლე მოგვშხამვია და ვიღუპებით.
ძმებო, რწმენისთვის ვინც მზადა ხართ და ვინც
სისხლს დაღვრის,

ისმინეთ ჩემი ეს ძახილი და ეს სიტყვები...
ხალხი შეინძრა, აჩოჩქოლდა და ერთხმად ითქვა:
— დანკო, შენა ხარ ჩვენი მხსნელი, იყავ წინამძღვრად!..
დანკო, გაგვიძეხ, ვერ შეგვაკრთობს შავ-ბედის რისხვა.
დანკო, ნუ თუ ცას ვარსკვლავებით კვლავად
ვიხილავთ?“

და ხალხის ლტოლვა გადაიქცა ძლიერ სტიქიად.
გადაიფანტა შავი ნისლი უიმედობის.
დანკოს გულისთვის დაირტყამდნენ გულში ცხელ ტყვიას.
და ბელადს დროშა ჩააბარეს ბრძოლის და წინსვლის.
დღე და ღამ ხალხის მიზანსწრაფვით იყო დინება...
კვლავ ტყე უღრანი და ღრიალი მომაკვდავების, —
ოხვრით და კვნესით დედის წყევა, ლანძღვა-გინება
და ჭაობები ავსებული ურიცხვ გვამებით...
და არ უჩანდა ტანჯვას ბოლო და დასასრული.
ტბორების შმორი ხალხს ტანჯავდა და სულს უხშობდა...
მწუხარე იყო აწმყო ისე, როგორც წარსული
მომავალზე კი მხოლოდ ერთი დანკო ფიქრობდა...
— „მტერი ყოფილხარ, მატყუარა და მოღალატე!
ნუ თუ შენ ფიქრობ არ მიიღებ სამაგიეროს?..
წამოგვიყვანე, რომ ჩვენს ტანჯვას ტანჯვა უმატო?
სად არის შენი დაპირება, გვითხარი, მტერო?“
და შემოერტყა ბრბო გარშემო განრისხებული,
ვინ მუშტს უღერდა, ვინ კეტს, ვინ ქვას ჩასაქოლავად.
დანკო კი იდგა, ვით სალი კლდე მხნედ ამართული,

რწმენით აღსავსე და ხალხისთვის იყო მუდამ მზად.
„ძმებო, თქვენ ფიქრობთ, ვარ გამცემი და მატყუარა?
მე მტრობა თქვენი განვიზრახე ამ ჩემი გულით?
მაშ თუ ასეა ჩემი გული გადმოსკდეს ღვარად
და თქვენი რისხვით წყეულ ვიყო და დატანჯული.“
სთქვა მან და ხელით გადიღადრა მარცხენა მკერდი,
ამოიგლიჯა სიყვარულით მფეთქავი გული
და ხალხს შესძახა: „ძმებო ხედავთ ამ გულს? მისმინეთ!
განა მეც თქვენთან არ ვიყავი მარად ტანჯული?
მაგრამ დღეს მე კი მოღალატე გგონივართ თქვენი.
თქვენ ცდებით, ძმებო! დე, ამ გულმა ეს დაგიმტკიცოთ.
სიცოცხლეს გწირავთ, ოღონდ იყოთ მუდამ მომლხენი.
ოღონდ თქვენს გულში ისევ რწმენამ დაისადგუროს!“
და დანკოს ხელში საკუთარი გული ეჭირა,
რომელიც მზისებრ არემარეს ნათელ შუქს ფენდა,
რაც ხალხს იმედად მოეფინა და ჩაეკირა.
ხალხი კვლავ დანკოს მიმართავდა ქება-დიდებით:
— „დანკო, შენა ხარ და იქნები ჩვენი ერთგული!
ეს გული ისევ შენთვის ფეთქდეს, ჩვენ გზას გავიკვლევთ,—
შენთან ვიქნებით ჩვენ ყოველთვის გამარჯვებული,
შენი იმედით ჩვენ აწ უკან აღარ დავიხევთ!“
დანკო კი იდგა სისხლდაცლილი და მომაკვდავი.
მხოლოდ მოასწრო ეთქვა: „ძმებო, ჰა, ჩემი გული!“
და ის გადასცა მას, ვინც იყო ხალხის მოთავე,
ეს თქვა და დანკომ განუტევა მებრძოლი სული.
ხალხი დაღონდა და გამეფდა გარშემო სევდა,
მაგრამ მოთავემ გადასძახა ხალხს მაღალ ხმითა:
— „ძმებო, სიკვდილი წინამძღოლის გვარგუნა ბედმა,
მაგრამ განვაგრძოთ ჩვენი წინსვლა არჩეულ გზითა“

და ხალხი ისევ დაიძრა და ტყეც ახმაურდა,
წინ მიდიოდა დანკოს გულით ხალხის მოთავე,
წინა რიგელებს ხელებ გასკვნით, გვამი მიჰქონდათ
და თან იტანდნენ ტანჯვით სავსე შავყოფას მწვავეს...
დრო მიდიოდა და არ სჩანდა ახლოს მიზანი.
ხალხში ვიღაცამ კვლავ დაიწყო საყვედურები:
— „თურმე არ არის, ტყუილია მხარე მზიანი,
როგორც ვყოფილვართ კვლავ ვიქნებით დატანჯულები!“
ამ დროს ცის კიდურს ხალხის თვალი გამოეკიდა,
ტყე შემეჩხერდა და გამოჩნდა მთის წვერვალები,
აგერ მდინარე მოშხუოდა ბროლივით წმინდა,
აგერ ველები, ბაღები და საყანეები.
და ამ მიდამოს ხალხი ტყიდან შემოესია,
იყო უსაზღვრო სიხარული და ნეტარება,
დანკოს სახელი სწამდა ყველას, როგორც მესია
და იტაცებდა თვალს სიცოცხლის გამოდარება...
—„ძმებო ისმინეთ!“ მეთაურის იყო ძახილი:
— დანკოს საფლავზე მისი გული ავაგოთ ძეგლად.
ძვირფას საფლავთან კრძალვით ვიდგეთ თავდახრილები,
და მისი ხსოვნა მუდამ გულში ვატაროთ ცეცხლად!“
— მოსაწონია, მეთაურო, ეს შენი აზრი!“
დაიგუგუნა ხალხმა ერთხმად დანკოს საფლავთან.
მას შემდეგ „გულ-მზე“ გმირის საფლავს ცეცხლ-
ჩიტად აზის,
და ის ქვეყანა მზის სხივებით გადაინათა.
და ხალხი იყო ბედნიერი და ნეტარებდა.
მტრისგან დაცული ცამდის აწვდილ მთის წვერვალებით.
წარსულის ტანჯვებს მოგონებით რომ იქარვებდა
საამო შრომით, დიად რწმენით, ახალ აზრებით“...

თავი მეორე

ზღვის ფსკერზე ქვიშას ვინ დაითვლის, ან ფოთლებს ტყეში,
რა მომაგონებს რაც მსმენია და რაც მინახავს,
შემომივლია ეს ქვეყანა ტანჯვით, შავ დღეში,
სწრაფვა უსაზღვრო და მიზანი შორით მისახავს.
რამდენ ხიფათებს წინ ვუდექი, არ დავერიდე,
რამდენ უცნაურ ამბებს გზაში გადავეყარე
და გავიარე ბედის წერის რამდენი ხიდი,
რამდენჯერ სიკვდილს გავექეცი და გავეპარე...
გულით კი... გულით იმედი და რწმენა დამჭონდა...
წინ დამესახა გმირი დანკო ცეცხლიან გულით, —
რომ ჩემი მიზნის და ოცნების სამყაროს ფლობდა,
საცა მზით იყო ყველაფერი გაბრწყინვებული.
ჩემი ფიქრები და ოცნება ფრთებსა ისხამდა,
მწამდა: ხალხის ხსნა ვის შეეძლო თუ არა რჩეულს?
ვინც რომ ხალხისთვის დანკოსავით თავს გასწირავდა,
ვისაც სიკვდილიც ვერ მოხრიდა ცეცხლად ანთებულს.
და ერთხელ, სადღაც, ჩრდილოეთის ერთ ცივ ქვეყანას,
საცა დაჰქროდა სუსხიანი აფთარი ქარი,
მოვხვდი შორიდან მიმავალი ზღვის პირა ქალაქს,
საცა ცხოვრება იყო მძაფრი, ვით ზღვა მღელვარი.
ვიდექ ქუჩაში და თვალები მივაპყარ სახლებს,
და სართულებზე სართულები რომ ჰქონდა მდგარი,
ვუცქერდი გამვლელს, — დიდს, პატარას, ქალებს და ვაჟებს,—
მდიდარს და ღარიბს, მეჭარხნეს და მუშას, მღვდელს ჯვარით.

„ჰეი, რას დგახარ აქ უსაქმოდ! არ გესმის განა?
აქ სასახლეა მეფისა და მე ვყევარ მცველი,
სადაური ხარ? რა ეშმაკმა აქ მოგიყვანა?
გასწი, თორემა, შენთვის მზად მაქვს მათრახი მწველი!“
და მცველის მათრახს ჩემი ზურგი მაშინ ვერ აცდა.
ვთქვი: „ამ უკუნურს რა მოვთხოვო“ და შემებრალა
ამ დროს გადიხსნა ალისფერი ჩემს წინ მზის ფარდა,
ჩემი ოცნების წარმტაც მხარეს გადაეფარა.
— „მგზავრი ღვთისაა, თქვენი მოსვლა იყოს კეთილი“..
მომესმა მოხუც მებადურის ხმა კარავიდან.
შემომეგება ჭაღარა და წელში მოხრილი,
ხელში სანათით, ღამის წყვდიადს რომ შუქს აცრიდა.
კარავში ცეცხლი დაენთო მას და სითბო იდგა.
მოხუცმა სუფრა გაშალა და გამიმასპინძლდა.
— „აბა მიამბე ვინა ხარ და მოხვედ საიდან?“
მკითხა მოხუცმა, შემაცქერდა, მომიკდა გვერდით...
— ვინა ვარ? ერთი მომაკვდავი ადამიანი!
უარვყავ ტანჯვის ეს ქვეყანა და ვარ ეული,
ჩემი ოცნება არის მხარე ნათელმზიანი,
სადაც მშრომელთა მარკვენაა გამეფებული!“
და მას ვუამბე მე ზღაპარი ტანჯული ხალხის,
რომ დაღუპვისგან იხსნა ხალხი მან თავდადებით...
ვუამბე ხალხის აღტაცება იმ ქკეყნის ნახვით,
საცა ხარობდა ყველაფერი მზის სხივთა ფრქვევით.
მოხუცის სახე სიხარულით იყო ბრწყინავი
და თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა ცეცხლის...
სთქვა აღტაცებით: — „არ მინახავს მთქმელი შენსავით,
იქნებ ღვთისაგან მოგვევლინე მხსნელად ამ ქვეყნის!“
და თვალი თვალში გავუყარეთ ერთი-მეორეს.

იდგა მოხუცი სიხარულით და გატაცებით.
ჩემსავით მასაც იტაცებდა ქვეყანა შორი
და გრძნობდა სიმხნეს ახალგაზრდულს თავგამეტებით.
— „მოხუცო, ვხედავ, გული შენი ფეთქს სიყვარულით,
ვერ ჩაუქრია შენში ცეცხლი ქროლვას დროების,
მაშ, გვქონდეს ერთი მიზანი და გზა დასახული,
ვიაროთ ერთად მთამინდვრების გადასწორებით.
წინ გვიდევს გზები და ვინ იცის სად გავითენებთ.
დიადი რწმენით გავცილდებით ამ ქვეყნის საზღვრებს.
აქ თუ ტანჯვა გვაქვს, იქ ხომ ლხენით ტკბობას
ვიგემებთ,
თქვენში ვიპოვი ალბათ, კიდევ სხვა თანამგზავრებს“...
და მებადური თითქოს ცასა აწვდიდა ხელებს
— „მზადა ვარ შენთან, რომ ვიარო ეკლიან გზითა,
თუნდაც გზაშივე დავარდე და რისხვა მაწვიმდეს,
თუნდაც სიკვდილმა ამომხადოს სული ტანჯვითა. —
აქ მრავალია მუშები და რომ გაიგებენ,
შენთან წამოვლენ, ეს კარავი მათ ვერ დაიტევს. —
ჩვენ ამ დიდ ქალაქს დავტოვებთ და ბოლოს მოვუღებთ
ღარიბი ხალხის მწუხარებას და მძიმე ტანჯვებს!“
თქვა და მოხუცი მყისვე სწრაფად გაიჭრა გარეთ.
მე კი კარავში დავრჩი მარტო და დამათენდა.
დილით გამოჩნდა მოხუცი და გავმხიარულდი,
კარავი ხალხით სულ გაივსო და გაიჭედა.
— „ძმებო, გვიღიმის ტანჯულთ ბედი,—შველა მოგველის.
აი, ამ უცხო ვინმე მგზავრსა უნდა ვუსმინოთ,
მას უარყვია ეს ქვეყანა და ყველაფერი.
ჩვენც მასთან ერთად უცხო მხარეს უნდა ვილხინოთ!“
მიმართა ყველას მებადურმა აღფრთოვანებით

— „ვუსმენთ... ვინ არის? მგზავრი! საით?“ ისმოდა
ხმები...
აზრს ვერ ვიკრეფდი უჩვეულო ასეთი კრების
და მე დავიწყე: — „ძმებო, ჩვენ ვართ დღეს ტანჯულები!
უნდა განვ'მორდეთ ამ ქვეყანას უსამართლობის.
ვიაროთ ერთად და ვიპოვით ოცნების მხარეს,
ქვეყანას მზიანს, სიყვარულის, ძმობა-ერთობის,
სად ვერ იგემებთ თქვენ ცხოვრების შხამნარევ მწარეს...
აბა, მისმინეთ! ახლა გეტყვით თქვენ ისეთ ამბავს,
რომ ამ ქვეყნიურს უკუაგდებთ და შეიძულებთ
და საოცნებო უცხო მხარეს თქვენ დაისახავთ.
მისთვის თავს დადებთ და სიცოცხლეს არ დაიშურებთ!“
და მე ვუამბე მათ ზღაპარი ტანჯული ხალხის,
ვუამბე დანკოს თავდადება, ტანჯულთა შველა.
ვუამბე ხალხის აღტაცება იმ ქვეყნის ნახვით,
სად ყველაფერი ყვაოდა და ხარობდა ყველა.
ჩემი სიტყვები მოხუცის სულს მოედო ალად.
— „ძმებო, ხომ გესმით, არჩევანი არ უნდა იყოს!
ბედი გვიღიმის და იმედმა ფრთები გაშალა,
ვინც ჩვენთან მოდის იმან ხელი უნდა ასწიოს!“
ასე მიმართა მოხუცმა ხალხს ბრწყინავი სახით.
ამ დროს ხალხიდან წინ წამოდგა ვიღაც უცნობი.
— „ამხანაგებო! — გადასძახა ხალხს მაღალი ხმით:
— „თქვენ იცით, მეც ვარ ხალხის ტანჯვის სასტიკი
მგმობი...
დიახ, ჩვენ შრომით და ოფლის ღვრით ვახარებთ
სხვებსა.
განა ჩვენ არ ვქმნით იმ სიმდიდრეს სხვა რომ იუფლებს
და დღესაც ჩვენი სისხლის ღვარი არერთვის ზღვებსა?

დიახ, ჩვენ უნდა გზა ვუჩვენოთ ქვეყნის ტანჯულებს!
მაგრამ შენ, მგზავრო, ვერც ერთ ჩვენგანს ვერ გაიყოლებ.
ჩვენ ნატვრის მხარედ ეს ქვეყანა უნდა ვაქციოთ.
ჩვენ ტანჯულები, აქ დავრჩებით და აქ ვიბრძოლებთ?
აქ ბრძოლის დროშა ცეცხლისფერი მაღლა ავსწიოთ!
ამხანაგებო! ვინც მომხრე ხართ ჩემი აზრების,
სთქვით გაბედულად და ასწიეთ მაღლა ხელები!..“
ხმები ისმოდა: — „ჩვენ მზადა ვართ და აქ დავრჩებით,
რომ ძველ ქვეყანას წავუკიდოთ ცეცხლის ალები!..“
წუთების შემდეგ კარავში ჩვენ ვიყავით ორი —
მე და მოხუცი, დილით ქალაქს რომ გამოვცილდით, —
ჩვენ გვიტაცებდა თვალწარმტაცი ქვეყანა შორი, —
უგზოდ და უკვლოდ მივდიოდით, — ოფლს და სისხლს
ვღვრიდით.

თავი მესამე

ჩრდილოეთიდან სამხრეთის გზით და დასავლეთით
წლები გვითვლია ტანჯვის დღეში მე და მებადურს.
ჩემი ქერა თმა შეიმოსა უდროვოდ თეთრით,
ჰკნობა დამეტყო ზამთრის სუსხით სახეს დაღარულს.
მოხუც თანამგზავრს დამაშორა შავმა სიკვდილმა,
(გზაში მას გული გაუჩერდა — გარდაიცვალა).
დავასაფლავე სადღაც ტყეში, ვით ღვიძლმა შვილმა,
ტანჯვაში ერთი მონაწილე გამომეცალა.
და ისევ მარტოს არ მიჩანდა გზის დასასრული.
ხშირად ძაღლივით მითევია ღამე ქუჩებში,
მაგრამ ოცნება მიტაცებდა შორს დასახული
და მე მეგონა ტანჯულ ხალხის ვიყავ ნუგეში.

წელს წელი ცვლიდა — დრო მიჰქროდა და კვლავ
ვეძებდი
უცხო ქვეყანას ძმობისა და თავისუფლების...
სულს კი ნისლავდა ჩამავალი მზის შუქი სევდის
და იღრღნებოდა სული ეჭვით უიმედობის.
ვფიქრობდი: „ნუ თუ ეს ცხოვრება ისე მიმუხთლებს,
რომ ვერ ვიპოვი ვერსად მხარეს ბედნიერების?
ნუ თუ ამ ქვეყნად ზამთრის ქარი მუდამ იქროლებს —
სისხლის და ცრემლის, მძიმე ტანჯვის უსამართლობის?“
და ამ ფიქრებში გადიშალა ჩემს წინ ნაცნობი
მხარე, ზღვის პირად, ყრმობის ხნიდან რომ არ მინახავს,
სადაც მესმოდა მოლდაველთა სიმღერა ტკბილი,
სადაც მიზანი საოცნებო მე დამისახავს.
მეკითხებოდნენ: — „ვინ ხარ? საით? ჩვენთან რა გინდა?
ვუპასუხებდი: — „ტანჯვის მხარეს ვერ შევურიგდი,
და ნატვრულ-ქვეყნის განვიზრახე ნახვა და მინდა
ამ ქვეყნის მშრომელთ იქ მხარესთან გავუდო ხიდი“.
ამ ჩემს განზრახვას სისულელე უწოდა ყველამ
და მე დონ-კიხოტს მეძახოდნენ ახალგაზრდები.
ამბობდნენ: „ხალხი დატანჯული მოითხოვს შველას
მტერთან ბრძოლით და არა ნატვრით — ფუჭი ოცნებით!“
ამ დროს ერთის ხმა ტყვიასავით გულში მხვდებოდა:
— „შორს ჩვენგან ან და ჩვენი ჭირი გაიზიაროს!“
უცნობი იყო ჯანით სავსე და ახალგაზრდა.
შესტრფოდა მზესა მომავლისა და სანეტაროს...
მისი თვალები ნაპერწკლებსა აფრქვევდა ცეცხლის.
გული უფეთქდა ახალგაზრდულ თავგამეტებით.
ნატრობდა ხილვას მომავალი ახალ ცხოვრების,
ძველი სამყაროს ფერფლად ქცევას, ცეცხლის დანთებით...

126 - 127

6

~~124 - 125~~

~~124 - 125~~ 116-117

— „ვინ უნდა იყოს? ვფიქრობდი და ძლივს მომაგონდა:
ის იყო შვილი მოლდაველი მოხუცი ქალის,
გატაცებული დანკოს ზღაპარს რომ მიამბობდა
და გულს მივსებდა ნეტარების მგრძნებარე ალით.
პეტროს ეძახდნენ ვაჟს სახელად, იყო მაღალი,
ბეჭებ ჩასკვნილი და არწივის მას ჰქონდა მზერა, —
უყვარდა ყველა ღარიბი და ბედით საწყალი,
ქვეყნის ძლიერნი შეიძულა — გადაიმტერა.
ჩვენ გავეცანით და ერთმანეთს დავუახლოვდით.
ის იგონებდა დედის სიკვდილს აღშფოთებული
„ომში მყავდაო — ღვიძლი მამა, ორი ძმა ჩემი,
დედა კი სახლში უპატრონოდ დატოვებული.
მე კი მესამე ძმა ვიყავი, ყველას უმცროსი
და ვმუშაობდი თოფხანაში თავგამოდებით,
სად უსაშიშრეს კაცად მთვლიდა ქარხნის უფროსი
და მქადაგებლად მთვლიდა ხალხში მავნე აზრების.
და ერთ საღამოს, საიდუმლო კრება რომ გვქონდა,
თავზე დაგვესხნენ და ყველანი დაგვატუსაღეს.
ჯალათებისგან ვიცოდი მე რაც მომელოდა,
ვიცოდი ჩემთვის ამზადებდა მტერი სამარეს.
წამს გამიელვა თავში აზრმა ბედზე მინდობის,
(სიკვდილს ხომ მაინც მე არავინ ამაშორებდა!)
გაქცევა იყო ერთად-ერთი შველა სიცოცხლის,
თორემ მცველები მყის დაღვრიდენ ჩემს სისხლს ტბორებად.
და აღარ მახსოვს როგორ მოხდა: მე გავიქეცი
და შევეფარე მთებს და ტყეებს — გავხდი ფიქალი.
ვიყავი მხნედ და უბრძოლველად მტერს არ დავნებდი,
მაგრამ... დედა კი არ მიხილავს შემდეგ მტირალი.
ყაჩაღად ვიყავ წოდებული და ჩემი თავი

შეფასებული იყო იმ დროს ათას ოქრო[illegible].
მეც მტრებთან მქონდა მუდამ ბრძოლა და არა ხანი,
არევ-დარევა მათ ბანაკში ხშირად შემქონდა...
და ძხოლოდ მაშინ, ჩრდილოეთს რომ ცეცხლი მოედო
და ოქტომბერში მეხის ჭექა ყველგან ისმოდა
როცა ტირანი ჩრდილოეთში უსულოდ ეგდო
და ცეცხლის ქარი სანეტარო ყველგან დაქროდა
ღამით გავუდეგ გზას მალულად და საზღვარს გავცდი
და მივაღწიე ჩრდილოეთის ცეცხლიან ქალაქს,
საცა ბრძოლებში მონაწილე მაშინ მეც გავხდი
და მეც ვუსმენდი წინამწოლსა და მშრომელთ ბელადს!"
და შემდეგ პეტროვ მოყვა ამბებს დიდი ბრძოლების,
სამოქალაქო ომისა და დამშეულ ხალხის,
მიამბო: როგორ სჭედდენ ახალ ყოფა-ცხოვრებას
და ქონდათ სწრაფვა კომუნისტურ სამყაროს ნახვის
და ნაამბობი მოეკიდა ჩემს სულს ალებად,
ჩემი ოცნება ახლოს სჩანდა და მახარებდა, —
დღეს სულ სხვა იყო ჩემი სწრაფვა და გატაცება
მწამდა ტანჯულის შრომის მხარე გაიმარჯვებდა...

თავი მეოთხე

შრომას ჩაბმიან ბებრები და ქალები რთველში.
რათ არ მღერიან? სიმღერა ხომ აქ ყველამ იცის?
ახალგაზრდებს ხმები ისმის: — „თოფებით ხელში
დავიცვათ, ძმებო, ეს ქვეყანა ცეცხლში რომ იწვის.
მეფე ფერდინანდს განუზრახავს გაგვანადგუროს
და მოლდავიის რესპუბლიკას „აუგოს წესი".

128-129

~~125~~ 118-119

ჩვენ არ დავუთმობთ, თუნდ ბრძოლებმა სისხლად დაგვ-
წუროს,
თუნდ მოგველოდეს სასიკვდილო ამონაკვნესი"...
და დევნილები მალულ კრებებს მართავდნენ ყველგან
ნავებში ზღვაზე, ტყეში, მთებში, ბნელ სარდაფებში.
აწვდიდნენ ამბებს ურთი-ერთსა ჩრდილოეთიდან.
ბეჭდავდნენ ფურცლებს მოწოდების ფარულ სტამბებში.
„სფატელ-ცერია" ვერ ამართლებს მშრომელთ იმედებს
(მეტწილად „ძბრწყინავ" წოდებიდან აურჩევიათ)
„მშრომელთა საბჭო" ვერ დაიცავს თავისუფლებას,
რადგან ამ მხარეს მტრის ჯარები შემოსევია.
„ძალა აღმართს ხაარს" და მტრისათვის რაა საზღვარი!
ნაბრძანები აქვს ავერესკოს ცეცხლი წვდებოდეს
ზეცას ალებად და დგებოდეს სისხლისა ღვარი.
იდგეს წყვდიადი ამ ქვეყნად და არ თენდებოდეს".
პეტრო პ რისპირ უდგა სიკვდილს, რადგან მფარველი
არი ხალხის და წიხამძოლი აჯანყებულთა...
მას დაუსახავს, რომ ცეცხლს მისცეს ქვეყანა ძველი.
მზიანი ყოფნა დაუმკვიდროს მხარეს ტანჯულთა...
მაგრამ ღალატით „სფატელ ცერის" ხალხი დამარცხდა:
„ოფიციოზმა" პირველ გვერდზე დაბეჭდა ცნობა:
„აჯანყებული ხალხი სასტიკ სასჯელს ვერ ასცდა!
რა წარმტაცია ცეცხლში ქვეყნის სანახაობა"...
ბჭობდნენ: „პატიმრებს ციხეებში ველარ ჩავატევთ!
როგორ მოვიქცეთ? — რიჟრაჟისას ყველა დავხვრიტოთ!
მაშ, ჯალათებო! ნუ აყოვნებთ, ჩქარა დაიწყეთ!
ბოლშევიკები მხეცებივით უნდა გავწყვიტოთ!.."

— ამხანაგებო! ჩვენ სიკვდილის არ გვშინებია,
თორემ ამ ცივ-ბნელ საკანშიაც არ ვისხდებოდით!

მტერთან ბრძოლაში სისხლი მკერდით დაგვდინებია
და ძაინც ბრძოლის ცეცხლათ ვენთეთ და ვიწვებოდით!
„მაშ, ძმებო, მედგრად, ვით შეგვფერის თავდადებულებს!
გვწამდეს: ბრძოლაში გამარჯვება ჩვენია ბოლოს!
ახლა კი, ლექსო, შენებურად მოჰყევი ზღაპრებს,
ჯერ ის გვიამბე, შენ რომ გიყვარს, დანკოს შესახებ!“
ამბობდა პეტრო და მისი ხმა რეკდა საკანში.
სხვებიც მას აყვნენ: — „ლექსო, შენი გვაქვს ჩვენ იმედი,
მოყევი ზღაპრებს, მწარე დღენი რომ გავატაროთ,
ეგებ, ვინ იცის, ზღაპრულია ეს ჩვენი ბედი?“
მე წამოვდექი და დავიწყე ნელხმით მღელვარემ:
ზღაპრული დანკო იტაცებდა შორით ტუსაღებს,
რამდენმა ცრემლი სიხარულის დაღვარა ცხარე,
და ფრთებგაშლილი მოევლინა ოცნების მხარეს...
როცა ზღაპარი დავასრულე დადგა სიჩუმე.
— „ამხანაგებო! — მე განვაგრძე: — ამ ზღაპრის გმირმა
თქვენ გაგიტაცათ და მოგხიბლათ, როგორც წინათ მე.
მაგრამ რა არის ზღაპრის გმირი გმირთან ოქტომბრის?
მისმინეთ: ვიყავ მეოცნებე — მოხეტიალე
უგზოდ და უკვლოდ, მთასა და ბარს, ყველა მხარეში,
მაგრამ ბურუსი გაიფანტა გარშემო მალე,
ვიწამე ცეცხლი ავარდნილი ოქტომბრის თვეში.
წინათ მე მწამდა, — ვიხილავდი სადმე ქვეყანას,
სადაც ცხოვრება იქნებოდა თავისუფალი.
მითქვამს: ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ უსისხლოდ განა?
რა საჭიროა მტრობა, შუღლი აყალ-მაყალი!
ასეთი იყო ჩემი რწმენა, — დღეს კი სხვა არის:
„არ დაგვითმობენ უბრძოლველად ბურთს და მოედანს“
აქ ქვეყნის ძლიერთ, საომრად დღეს მზადა ყავთ ჯარი,

უბრძოლველად კი ვერ გამოსჭედს ხალხი ბედს ახალს...
— თქვენ მოისმინეთ ზღაპრულ დანკოს საქმე გმირული.
ახლა გიამბობთ ნამდვილ ამბავს ოქტომბრის გმირის...
— ვნახე ის იყო მტკიცე რწმენით გატაცებული.
მას გამოევლო ტანჯვის ცეცხლი და დიდი ჭირი...
და მე ვუამბე მათ ამბავი იმის შესახებ,
რომ ერთხელ, ცივი ჩრდილოეთის ერთ დიდ ქალაქში,
მეთევზის ქოხში, საცა კრება იყო მუშების,
მე ვნახე უცხო კაცი ვინმე მუშის ხალათში.
ის იყო მშრომელ ყველა ხალხის ბელადი — ლენინ".
მის ხსენებაზე გაუბრწყინდა ყველას თვალები.
ვთქვი: „აი ახლაც მისი სახე მიდგას მე თვალწინ,
ახლაც მომესმის ცეცხლოვანი მისი სიტყვები"...

რა მწარე იყო ის დუმილი მძიმე ლოდივით...
ამახვილებდა ჩვენს სარკმელთან დარაჯი სმენას.
ეზოდან ქარი ფანჯარას თავს ატეხდა ოხვრით,
თითქოს წუხელის ამ ციხეში მიეღოს წყენა...
და იგონებდა პეტრო დიად ოქტომბრის დღეებს:
მეფის სასახლეს, რომ აწვიმეს ცხელი ტყვიები:
— „ო, ნეტავ აქაც ოქტომბერი ფრთებს დაიბერტყდეს,
მოეწყობოდეს საბჭოები და კომუნები?!."
ისმის ხმაური დერეფნიდან: მიდი-მოდიან.
ეს კი მეკარე აჩხარუნებს კარზე გასაღებს.
ისმის „ადექით!" კარს აღებენ და შემოდიან, —
ჯერ პეტროს გვარი და სახელი ამოიკითხეს.
„ამხანაგებო! მხნედ იყავით!" პეტროს ხმა დასჭექს.
„ბესარაბია ოქტომბრის ცეცხლს ვერ აიშორებს.
იცოდეთ ყველამ: რომ სიცოცხლეს ვწირავთ მომავალს.
ამხანაგებო! ვეამბოროთ ძმურად ერთმანეთს!"..

სმოლნის დარბაზში ზღვა დროშები და პლაკატები
მრავალ ენებზე წარწერებით ფარავდა კედლებს.
სადაც „წმინდანთა“ ბინადრობდნენ ძველად ხატები,—
დღეს მუზეუმში მოთავსება მათ გაუბედეს,—
აი, გამოჩნდა ის—ბელადი რევოლუციის
და ტრიბუნაზე მიაცილეს ტაშის გრიალით,
გაისმა მისი მგზნებარე ხმა, სიტყვები ცეცხლის,—
ყველა მას უცქერს, მისკენ ყველას უჭირავს თვალი.
გახსნა კონგრესი კომინტერნის, მშრომელთ სამყაროს
მებრძოლთა შტაბი, ეს ამბავი ყველას ახარა,—
და სთქვა, რომ იმათ ხსოვნისათვის თავი დავხაროთ,—
ვინც დიად რწმენას თავს სწირავდა, სისხლი დაღვარა,—
ვინც დაეცათ ბრძოლის ველზე ბესარაბიის,
ვერ გადაურჩა პირსისხლიან რუმინელ მტარვალს,—
ვფიცავთ სახელით ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის,
რომ მათ საფლავზე ჩვენ ავმართავთ ოქტომბრის ალამს.
„მტერს მიეზღოსო მაგიერი,— მოითხოვს ყველა,—
ისევ გაისმის მისი ხმა და ტაში გრიალებს,—
ყველას სწამს მისი აზრი, რწმენა, რომ ოქტომბერი
ცეცხლიან დროშას მსოფლიოში ააფრიალებს.

1927 წ.